ნინო ჭეიშვილი

ჩითაული ბუზა

უაკ (UDC) 821.353.1-1
შ-46

მიშა გოგუაძე
რედაქტორი

ნანა ცინცაძე
კორექტორი

ნინო მიქაბერიძე
მხატვარი

ნანა ბეციაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა

ISBN 978-9941-0-2673-7

რედაქტორისგან

პოეტი გვთავაზობს ლექსებს რთული ასოციაციებით, მეტაფიზიკური სამყაროდან არეკლილი ხმებით, ფერებით, გრადაციებით, მეტაფორულ-კოსმიური ყოფიერების, მითოლოგიის არქეტიპების გამოსაცოცხლებლად.

ქალი აქ ყველაფერია: იგი ამ ეტაპზე გამოდის, როგორც მსოფლიო ვიბრაციის სიმბოლო, სიცოცლის საწყისი.

მიშა გოგუაძე
ლიტერატურათმცოდნე, პოეტი

მისტიკური სამყარო

ნაირა შერმაზანაშვილის შემოქმედება სცილდება ტრადიციული პოეზიის ფარგლებს, მაგრამ არც ის ჩანახატებია, ასე ხშირად რომ არქმევენ ავტორები ვერლიბრს. მის ელეგიებს იმ მისტიკურ სამყაროში გადავყავართ, სადაც ნათელსა და ბნელს ერთნაირად გაუდგამთ ფესვები, სადაც ადამიანური ვნებების დაუოკებელი სამეფოა და თავად პოეტი არაჩვეულებრივად ახერხებს არიადნას ძაფის გარეშეც გაიკვლიოს გზა ამ რთულ ლაბირინთებში.

ნანა ცინცაძე

ლიძლვეთ



მე შენ მიყვარდი

ყვავილთა დარი სიამაყეა წარსულის
ლანდი,
მე შენ მიყვარდი . . .
მე შენ მიყვარდი
და ცრემლთა დენით იღვრებოდა ველური
ვარდი,
სარკმელთან მდგარი მითევდა ღამეს
ანთებულს კდემა,
სულში ტკივილით კვლავ წვებოდა ფარული
სევდა.
როცა აღზევდა გავლილ–მომავლის არქონის
ვნება,
თითქოს ელიამ გადაწნა წამით ციური
ფარდა,
ცის სილურჯეში ლურჯად ათლილი
პროფილი ჩანდა,
შენსას ვამსგავსე,
შენსას ვამსგავსე
და ... გული დამწყდა.

აფეთქებული აპრილი

მზეს დაედევნა ქარდაქარ, აფეთქებული
აპრილი,
ატმის ყვავილი ატირდა: რა დავაშავე არ
ვიცი.
დამწუხრებული ბუნება თავის
გაზაფხულს დასტირის,
მზეს ევედრება ზაფხული, შემინარჩუნე
ყვავილი
და ცისარტყელაც გამოჩნდა, გამოდარება
ბუნების,
ობოლი ცრემლი დაგორდა ტოტებაყრილი
ყლორტების,
თვით დედამიწაც შეინძრა ვარსკვლავთა
ქარაშოტებით.

გვირილების ცრემლი

ქარიშხალს ანდო
ქალწულმა თმები,
ელვამ მოკვეთა
ქარვის დალალი.
სატანის ბორგვამ
არ დააყოვნა,
ბნელეთს გადასცა
სხეული ქალის.
აღლუმს მართავდა
ქვესკნელის მაცნე
და ლამაზმანი
იხდიდა ტანზე.
ვერ ივიწყებდა
მუხთალ ქარიშხალს,
გვირილებიდან
სცვიოდა ცრემლი.
წუთისოფლისგან
სიძვით გარიყულს,

თვალებში ედგა
მონაზვნის სხივი.

ბალზაკის ასაკი

ჩემი წარსული
სისხლისფერია,
აპოკალიფსი
დამთავრდა ჩემში.
შემომანათა
შენმა თვალებმა,
შავმა ავაზამ
დაკარგა ეშხი.
„ტანგო“ დაიწყო
ჩემი ცხოვრების,
ვეამბორები
ბალზაკის ასაკს.
სიკვდილ–სიცოცხლეს

ვაგდებ არაფრად,
თვით სიყვარულიც
გაქრება ალბათ;
როცა სიბნელე
სხეულს გაყინავს,
ეზის ელვარების
სურნელით წავალ.
უფალს გავუხსნი
გულს ნაიარევს,
ჩემს თვალებში კი
ვარსკვლავებს ნახავს.

* * *

ცხოვრების ეტლი
ოქრო-გვირგვინით
ამკობდა მავანთ,
აღზევებული
სიცოცხლის ფონზე,
ნაშიმშილები
ლეკვი იბრძოდა.
გმინავდა მიწა
და ცის თაღი კი
იღებებოდა
კვლავ ვარდისფერით.

* * *

შემოვიარე
რომის ქუჩები
და გამიტაცა
ამფითეატრმა.
დადუმებული
თრთოდა თეატრი,
იმზირებოდა
მზისკენ აჩრდილი.
ამათრახებდა
ერთ დროს ბედშავი,
მიწიერებას
დანტეს მუზასთან.
გადაქანცული
ჩანდა მასხარა,
არც ცა იღებდა
და არც სატანა.

სიკვდილი მაძის

წუხელ მწუხრისას
ჩამოიქროლა
კომეტამ შავმა
და ბნელმა ძალამ
ახადა ფარდა
იმ მყუდროებას,
რომელიც გაქრა.
სულში ტკივილი
იღვრებოდა
მაღალი ციდან,
გული ათრთოდა
და მარტოობამ
დაიდო ბინა.

კლეოპატრა

პირამიდები
სცემდნენ შიშის ზარს,
მაგრამ ვაება
მოჰქონდა ქარიშხალს.
ქალმა შეიწირა
ეგვიპტის დიდება,
ცაზე აინთო
ძუ მგელის სახება.
ღვართქაფი ცრემლთა
მიჰქონდა ნილოსს,
მჩქეფარე სისხლში
იხრჩობოდა რა
და წითლად ელავდა
უდაბნოს მზის სხივი,
როდესაც დაირხა
სიკვდილის განგაში.
სიკვდილშიც თავნებამ
ძირს დასცა ვარდები

და უცებ აალდა
კოცონი სიცოცხლის.
ვარსკვლავნი ცეკვავდნენ
და ცაზე ხატავდნენ
გრძნობათა თარეშს
ჭადრაკის დაფაზე.

კაცის უჯრედი

არ მასვენებდა
შენზე ფიქრები
და მიწამლავდა
სულის სიმშვიდეს.
მიჰქროდა წამი
ელვისებურად
და დაგეძებდი
ლაბირინთებში.
როცა აცურდა

მზე გაზაფხულის,
ვიქეცი ჩრდილად
ყოფიერების,
ტოტებაყრილი
ატმის ყვავილი.
შენ ანთებული
გამომედევნე,
მეც ჩავიძირე
მოგონებებში.
არწივის ფრთებით
ძირს დამანარცხე
და დამაყენე
დედამიწაზე.
კვლავ მძულს
სიცოცხლე
მამრის შემყურე,
წვეთავს სიბრიყვე
კაცის უჯრედის,
გაჰკივის ჩემში

ყაყაჩოს ფერი,
გადარეული
ღამის წყვდიადში.

ღვთისმშობელი ძაძებში

ძაძა ჩაცვეს
ღვთისმშობელს ტანზე
და აედევნენ
ძვლებს მონარნარეს.
მიწა გაგვიხსნა
ფეხქვეშ სისუსტემ,
ვინ დაგვაყენებს
გზაგასაყარზე.
სინდისის ქეჯნას
ვერ გრძნობდა კაცი
და თავის სისხლში

იბანდა სახეს.
ვიდოდნენ დღენი
და ვარდობისთვეს–
ზამთრის სიცივე
იდგამდა ფესვებს.

შავში სითეთრე

ეს სატანის მზე წითლად ანთია,
თუ შავი მალავს წითელს ფერებში.
დაისი წვება და ვერაგობა
გაგახსენდება ტურფა აისში.
მძიმე წარსული ისე გაწუხებს,
სევდასა ვხედავ მწვანე თვალებში.
თუ სიყვარული ჩემთან მოგიყვანს,
სტენდალს უარყოფ ფერების
შერწყმით;

შავში სითეთრე ისე მიზიდავს,
მზეზე ვლივლივებ წყვდიად ღამეში.

ვერ დავნებდები

ჩიტების ჭიკჭიკს
ვუსმენდი ჩუმად,
შემომეპარა
გულში ნაღველი;
მაღალი ციდან
ვუმზერდი მიწას
და შევიგრძნობდი
არყოფნის სევდას.
ჩუმად ვფიქრობდი
წარსულ დღეებზე,
კაცობრიობის
ვგრძნობდი სისუსტეს;

მივყვები დილას
და დიდი სოფლის
მუხთალ დინებას
ვერ დავნებდები.

* * *

მე ვთამაშობდი
ძველ ჰეტერას
ვერის ბაღებში.
თან ჩამესმოდა
სიმფონია
„სირტაკის“ მსგავსი
და მოვიშორე
სიყვარული
გონების ძალით.

ღვთიური ცვარი

გამიძლიერდა ლტოლვა ცისაკენ
შეცნობის არსი ღამესთან ერთად,
მწუხარე ფრესკა – მზის სიყვარული,
ლაქად ცის თაღზე ჩამოიღვენთა.

ციდან ეცემა ღვთიური ცვარი,
გრძნობისეული ღამის სადარი
და უცებ გაქრა ოცნების ქროლვა,
ჯეშმარიტება ნეტავ სად არის?

ცხოვრების გზაზე ციცაბოებში
ვეღარ გავიმცნე წერტილი დროის,
რადგანაც ქალში ერთმანეთს ებრძვის
სიძვის დემონი და ანგელოსი.

ვნება

მამრში ჩაფლულა ულაყის გონი,
თვით შემეცნების ბრწყინვალე გენით.
აფეთქებულა სულში აბრილი,
სიყვარულს ეძებს მთლად მარტოსული.
ვარსკვლავთ ციალი ღამეს ანათებს,
მრუშობას თელავს ცა სიმარტოვით
და ავხორცობა ყოვლად ძლიერი,
ვარდისფერს ირგებს ვით გაზაფხული.
ცეცხლის ალები, ცას რომ სწვდებიან,
ავი ზმანების სისხლის კვალია.
სიძვის დიაცნი ვნებით ტკბებიან,
ეს მიწიერი ევას დარდია.
გონება ბორგავს, ზეკაცი კივის
კახპის არსების ღელვის ძახილით,
სისხლის დუღილით,
ლაღი თარეშით,
უსაზღვრო ლტოლვით
მდედრის სხეულის

და შეშლილივით
ყურში ჩაესმის:
– ვინ ოხერი ხარ შენ, ამორძალი,
ჩემი ნეკნიდან გამოძერწილი.

* * *

ლეშს დაეძებდა
არწივის თვალი
და დაინახა
ნუკრის თარეში,
ბუნების კანონს
ვწყევლიდი იმ დღეს
როცა შვლის ნუკრი
ზეცად ვიხილე.

გაზაფხული

ტურფა ქალია
თვით გაზაფხული,
აფეთქებული
ატმის სურნელით;
როს სულის ნავარდს
მივენდე ღამით,
თმაში ცვიოდა
ვარსკვლავთ გუნდები,
მივნებდი უფალს,
შორს გამიტაცა,
სულში მღეროდა
კდემის ჩანჩქერი.
მიწიერებამ
უცებ იელვა,
აღფრთოვანებამ
დაკარგა ფერი.
როცა აისმა
მზე აიტაცა,

მდორედ ვიდოდა
ჯაბუკის სისხლი.
ვარდობის თვეში,
ყმაწვილი კაცი,
დამჯკნარ ბაგეებს
ლოშნიდა მდედრის.

ქარიშხალი

სცენიდან ვაგნერის
მესმოდა რიტმები,
სულის შემძვრელად
შფოთავდა მაესტრო.
ვიწყე ფეხშიშველმა
ქარში ხეტიალი,
სიამე მოჰქონდა
სიაშრეს ქარიშხლის.
მეძახდა წყურვილი,

მყოფადი სიცოცხლის,
გრძნობებს მიმარხავდა
ცბიერი კაეშანი.
სხეული დაცემას,
როდესაც ნატრობდა,
სული იმონებდა
სტიქიის ნატურას.
დავლანდე სიკდილი
და მიწაც შევიგრძნე,
ტერფები ამილანძა
სიგრილემ მე მიწის;
სიგრილე მიწისა
თან თიხის მპყრობელი,
სარკაზმს ვერ მალავდა
ადამის აჩრდილი.
ნათელი უფლისა
დაეშვა ჩემს თავზე,
თან გონსა სწვავდა
სისინი ასპიტის.

ჩემში ბობოქრობდა
ბუნება დემონის,
ღვთიურ სხივს ხედავდა
მესამე თვალი წინ.
ქარბუქში, თვით გული
ლითონს დაემსგავსა
და აწმყოს ვნებანი
ჩანელდა თანდათან.
მე ვეღარ აღვიქვი
წარსულის არსებობა,
მის ქონა–არქონით
ვბორგავდი ქარდაქარ.

ადამის მოდგმა

მეგზურთა კვალი მიჰყვება აჩრდილს,
მალავს სამოთხეს მზე შემოდგომის
და ფეთქავს ზეცა წამებით მთვარის,
ვარსკვლავებს ანთებს ღვთიური ხელი
და სხივი ჩნდება ზესკნელის არის,
დუღდება სისხლი სატანის ძარღვში.
ველურ ძალაში ეძიებს საწყისს,
მწუხარებაში იქმნება ჰიმნი,
მარტოდშთენილის ლეგენდის მსგავსი,
ღიღინებს ღამე
სიბნელით სავსე,
საშოს უსინჯავს
არყოფნის წამებს,
რადგანაც, როგორც მძორს უჩნდება
მატლების ხროვა,
ისე შეუჩნდა დედამიწას ადამის მოდგმა.

ნოსტალგია

სიზმარი ვნახე:
ვულკანის ფეთქვა,
ადამიანთა
ჩონჩხების ძრწოლვა.
დრო–უდროობა
მიყინავს ბოდვას,
რომელიც წარსულს
მიხსნის კვლავ უკან,
სულის სისუსტეს
ვახრჩობდი მუდამ;
ამორძალივით
ვებრძოდი ბოღმას;
სიტყვის სამარეს
ვაქცევდი ლექსად,
ვეკიდებოდი
მერკურის სრბოლას.
თვით მდუმარება
კიოდა ჩუმად
და ვაყრუებდი
უსიტყვოდ ყველას.

მზის აგონია
დღითი-დღე მსეტყვავს,
საშშობლოს ზეცა
მომკივის უკან!
შინ დაბრუნების
ხილვებით ვბორგავ
და ცა მეხსნება,
უფალი მბორკავს.



რიტმული მუზა

ეძღვნება ყველა ხელოვანს

ცას ასკდებოდა
რიტმული მუზა,
ნიავს მიჰქონდა
ფურცვლა ყვავილთა.
ფუნჯი ქარგავდა
ღვთის სასწაულებს,
ბუმბული თრთოდა
ფარშევანგისა.
ხელოვანს ეპყრა
ცის საჭრეთელი,
მუზა გალობდა
სულში მხატვრისა.
მარტოობით და
წყვილად ყოფნით
ეკალსა სპობდა
სარეველისა.
გლოვა დაიწყო

ციურ სხეულთა...
ცისარტყელის ჟამს
აწვიმდა ფერმწერს,
გარდაცვალება
და უკვდავება,
მზიურ სხივებზე
ცეკვავდა კარმენს.

კრავის ღიმილი

წილნაყარი და ბედნამსხვრევი, ოცნება რჩება
ტანჯვად.
გაქვავებული, შეცბუნებული სამშობლო
მიდგას ხატად.
სულის აჭრაა, განადგურება, ძირს დაცემაა
კაცთა,
ცისკრის ვარსკვლავის ჩუმი ოხვრაა და
მირონდენა ხატთა.

აპოკალიფსი, აბობოქრება, მუცლის ტკივილი
ქალთა
მხეცთა ბღავილი, ანგელოზის ხმა,
გამოქვაბული ქვათა.
მუქი ცის გახსნა ცის სილურჯეში, ლაზარეს
ფიქრი დარდად,
მიწის კვნესაა და ცრემლთა დენა, ღვთის
არიდება კვალთა.
მანანებია იქნებ ციური, თუ ზარის რეკვა
წამთა,
თეთრი სამოსი, შეურყვნელი ხმა, ციდან
დაშვება ქნართა,
ალმაფრენაა ეს ზეციური და შუქთაფრქვევა
თვალთა,
თამარის სახე ჯავარიანი სარკმელში
ჩნდება ნათლად.
კრავის ღიმილი, ვარსკვლავთ ჭიდილი და
ნათება ყრმათა.

სიკეთის დედა

ვარსკვლავთ ციალმა
მოდრიკა წელში
ის ნაღველი,
რომელიც მკერდში
მინთებდა კოცონს.
პურის ნაჭერი
ხორცია უფლის,
რომელიც ჩუმად,
ვენერამ ღამით
ჩამიდო სულში.
დედამიწაზე
ბატონობს ბოღმა
და სავალალოდ
შეკრულა მუშტად.
ღვთიურ კიდეზე
დაუკიდიათ
სიკეთის დედა,
მაგრამ კიდემდე

ვერ სწვდება ყველა,
გადაუფატრავთ
დედამიწაზე
ჩვილი სიკეთის,
ამოუცლიათ
გულის ნაჭერი
და შეუთანთავთ
ალზე მონეტის.

ᲚᲘᲦᲘᲡᲬᲣᲚᲘᲡ ᲘᲚᲘᲐᲓᲘᲐᲜᲘ

თეთრი ვარდი

I

გარიჟრაჟისას,
გაზაფხულის დროს,
როს გაიღვიძა
ცისკრის ნათელმა,
ქალწულის სახე
თეთრ ვარდს მიჰგავდა,
გადაშლილიყო
ალიონის ჟამს.
ჩრდილი დაეცა
უცებ მამრისა
და აიტაცა
უცნობმა გრძნობამ.
გული სიყვარულს
თრთოლვით მიეცა,
ტანში ეწვოდა
ადამის ნეკნი;
მზე ყვავილობდა

ყვავილთ სურნელში,
ღვიოდა მასში
ძლიერი ლტოლვა.
მარადისობის
ტკბილი სურნელი,
მდედრმა შეიგრძნო
ვარდობის თვეში.

II

ზაფხულის ღამეს
ვარსკვლავიანში
სიო დაჰქროდა,
სიო თავნება.
თეთრ ვარდს მორევი
ითრევდა გრძნობით,
აცახცახებდა
თეთრ სარეცელზე.
ელანდებოდა
სატრფოს თვალების

ცბიერი მზერა
ქვემიწიერი.
სულმა იძალა
და სულიწმიდით
ცხარე ვნებანი
ჩაახშო ძალით.
უფალმა მოხსნა
ლეღვის არდაგი
და შეაძრწუნა
ადამის სული;
მაგრამ ქალური
ევას ბუნება,
სიძულვილით და
ბრმა სიყვარულით
შფოთავდა ღამით.

III

ქარი თელავდა
ნარნარ ყვავილებს,
მიირწეოდა

წუთისოფელი.
მწუხარე ქალი
უმწეობისგან
ეხეთქებოდა
შავ-თეთრ ოცნებებს.
ნისლით მოცული
აწმყო ბორგავდა,
მარტის ნასესხი
ყვავილსა სძრავდა.
მამრში კოკონი
დანთებულიყო,
ხორცი იწვოდა
მწველი სურვილით;
მაგრამ თვალთაგან
მზე, მაცდური მზე,
ლაღი თარეშით
შლიდა იალქნებს.
ოცნებაჩამქრალ
თეთრ ვარდს უმზერდა,

იგი თავს გრძნობდა,
ცოცხალ ლეშივით.
ანგელოზი კი
გალობდა ცაზე
უცხო ბალადას
ევას ლტოლვაზე.

IV

სულით ერწყმოდა
თვით ენკენის თვე
მოჭედილ ზეცას
ვარსკვლავთ ციალით.
ნიავს მოჰქონდა
ფოთოლთ შრიალი
და შემოდგომის
ტკბილი სურნელი.
სარკმელთან მდგარი
გალობდა მთვარე,
ნაზად აცხრობდა
სევდის ნამქერებს.

ვარსკვლავთ ციალში
გონმა იძალა,
ბრმა ერთგულებას
თრგუნავდა არსში.
ღია სარკმელში
ჩუმად გამოჩნდა
სახე უსახოდ,
არაფრის მთქმელი,
უაზრო შფოთვამ
მთვარეულისამ,
აზრი შემატა
გრძნობას ქალისას.

მეწამული პიონი

I

აისის ფერები
ზღვას აერეკლა,
მეწამულ პიონს
მოჰგავდა ქალი.
სატრფოს ელოდა
ყოველ ალიონს,
უძირო თვალები
ელავდნენ გრძნობით.
უაზროდ მიჰყვა
ქვიშიან ნაპირს,
ციურ ოცნებას
შეასხა ფრთები:
– თუ კი არ მოვა
ძებნას დავუწყებ,
ცისფერ მორევში
დავლანდავ კენტად.
გრძნობა ამართმევს

კომპლექსურ განსჯას
და აღვირს მოვხსნი
მხურვალე ვნებას.
ჩვენ ცა გვექნება
მხოლოდ სარეცლად
და ვისაუბრებთ
უფალთან ერთად.
ღვთიურ სინათლეს
ავყვებით წყვილად,
სხვა ცა გვექნება
და სხვა ნათება.
თავმომწონეს და
უთავმოყვაროს,
უწმინდეს გრძნობას
უმღერებს ზეცა.

II

ზღვაში ჩავარდნილ
მთვარეს ებრძოდა,

ქარი მამრივით
მსუსხავი ვნებით.
ქალი სასურველს
გამოედევნა,
აუცახცახდა
ყოველი ნაკვთი;
ლტოლვამ იფეთქა
ტურფა პიონში,
როს აიტაცა
მამრის სხეულმა.
ავი სტიქია
მატებდა ძალას
კაცის მძვინვარე
შმაგივით სურვილს.
გიჟივით წეწდა
გიშრის დალალებს,
მდედრის სურნელით
გახელებული.
სიყვარულით და

ავხორცი ვნებით,
იდუმალება
კიოდა ღამის
და აეფარა
ნათელს მთვარისას
ღრუბელი შავი.

III

აღქმის კიდობანს
მტვერი სქლად ედო,
ტაძრებს აგებდნენ
ჰირამის სულის...
წუთისოფელი
უნდოა, მუხთალი.
ლტოლვას მდედრისას
მახეს უგებენ.
კაცი მუდმივად
ქალზე ფიქრობდა,
ვერ ისვენებდა,

შფოთავდა არსით,
ქალს ამსგავსებდა
ავხორცს ჰეტერას,
მზე ხარხარებდა
ლუციფერის.
დედაკაცი კი
ელოდებოდა
გულით სანატრელს,
ოცნების ერთას.
ხან კი ეძებდა
უგონო გრძნობით...
ტურფა პიონი
თვით შუადღის ჟამს
ცურავდა თრთვილში.

IV

მეწამულ პიონს
ქარი არხევდა
თვით გრძნობისაგან
დანასეტყვარსა;

ბოლოს იფეთქა,
როგორც ვულკანმა,
რისხვით ხელი ჰკრა
კაცის ბუნებას.
მაგრამ ათევდა
ფიქრებში თეთრად,
ლტოლვა ცხრილავდა
გრძნობასთან ერთად.
ღვინობისთვეში,
ფოთოლთ შრიალში,
უკვე უცრემლოდ,
მშრალად გოდებდა.
უცებ გაინძრა
არსება მასში,
თვით სიყვარულის
ალის ნაყოფი:
ბედნიერებით
გააცისკროვნა
ის არე-მარე

ქალის თვალებმა;
თქვენ მის მზერაში
დაინახავდით
უაზრობის აზრს
წუთისოფლისას.

თეთრი ულაყი

I

ზღვა ბობოქრობდა...
მამრი თოლია
მთვარის ნათელზე
მისწვდა მიჯნურსა.
კაცმა შეასწრო
თოლიებს თვალი
და აუდუღდა
სისხლი ულაყის.
მდედრი შებოჭა
მძლავრი მკლავებით,
ვნება ჩაწვეთდა
წარმტაცის სულში.
ღვთისგან დაწყევლილს
სურვილმა სძლია,
ვნებიან ტუჩებს
დანებდა თრთოლვით.
მაცდური ევას

ლტოლვა შეიგრძნო
ცეცხლმოდებულმა
მამრის სხეულმა,
ღრმა სიყვარულის
ცრემლთადენაში
ბრმად ჩაიძირა
ადამის არსით.
ცას რომ ახედა,
იდგა აისი,
წუთში შთაენთქა
უფალს საათი.
სრულად შეიგრძნო
განსხეულება
და არა მხოლოდ
დაპყრობა მდედრის.

II

მზე ჩააბნელა
შავმა ღრუბელმა,
ქალი იბრძოდა

ყაყაჩოს ფერით.
გიჟურ სიყვარულს
ითხოვდა მამრი,
თეთრი ულაყის
ჯიხვინს უსმენდა.
იარა აჩნდა
წარსულ დღეთაგან,
ღალატის ვნება
შფოთავდა სულში
და აღგზნებული
ქალური კდემა,
არსში ბობოქარ
დემონს ებრძოდა.
სასტიკი იყო
გონება მდედრის,
ჯექდა და ქუხდა
ცა მონდომებით.
ქარმა იძალა
და ქარიშხალში

ვნება ცხრებოდა
თეთრი ფაშატის.
უძირო თვალთა
კმაყოფილებით,
ცად ცახცახებდა
მაგდალინელი.

III

შერისხული ცა,
ცა ბობოქრობდა
და გაიტყუა
არსი კაცისა;
როდესაც ძრწოდა
სულით ამაყი,
განრისხებული,
ღალატისაგან.
მთელი სხეული
უცახცახებდა,
თითქოს მოტეხეს
ცხადშივე ნეკნი.

აგონდებოდა
გავლილი დღენი...
ვნების მოპარვა
სხვისი ბაღიდან.
ხარხარ-ღრიალი
სწვავდა ერთმანეთს,
უერთდებოდა
თვით სტიქიის ალს.
გონზე მოსულმა
ცას შეჰღაღადა
და ცა გაეხსნა,
ჩანდა დავითი.
ელავდა ზეცა
თითქოს ბორგავდა,
გაშიშვლებული
კაცი როკავდა.

IV

ვაზი ჰყვაოდა,
იდგა სურნელი,

ცა ელვარებდა,
ზეცა ზამბახის.
ირგვლივ დაჰქროდა
ევას აჩრდილი,
თვით ცუნამივით
გაავებული.
როცა მოთელა
მთლიანად კაცი,
დაპატარავდა
სამყარო მასში.
ზღვაზე დაისის
მზე ნებივრობდა,
გააცხოველა
არსი სულისა;
მდედრი თვით ზეცას,
ზეცას შეასკდა,
მის უნაპირო
მიუწდომლობას
და აბობოქრდა

გონება მისი...
– ზესკნელის წამად
გარდავიქმნები...
როცა ტაძარში
სანთელს ანთებდა
ცეცხლი მოედო
უეცრად მანდილს.

მამრი ხოხობი

I

ათეთქებული
ტურფა აპრილი
ძალას მატებდა
სურვილს სიცოცხლის.
მიწის სურნელით
გაბრუებული
აღგზნებულიყო
კაცის სხეული.
მჩქეფარე სისხლის
უსმენდა დუღილს,
სული თარეშით
ერწყმოდა აპრილს.
გრძნობამ იძალა
მივიწყებულმა,
სატრფოს დიდ თვალებს
ლანდავდა ძილში.
ძლიერი ლტოლვა

ევას სქესისა,
მან შეაცურა
მორევში ვნების.
ქალს ამონებდა
ბუნება ადამს,
სანაპიროზე
ყვავილობის ჟამს.
ჭაობში მყოფი
მდედრი ხოხობი
მამალის გრძნობით
ცაში აიჭრა.

II

წუთისოფელში,
დიდ ქარიშხალში,
დედალს ეძებდა
მამრი ხოხობი.
თან სიყვარული
ძლიერდებოდა;
მაგრამ თვით სეტყვა

ებრძოდა გრძნობას.
მათ ყვავილობას,
სტიქიის ალი
გადარეული
მიწაზე ჰფენდა.
სისხლის ცრემლებით,
არსი ადამის,
ნამქერად მოტანილ
ყვავილსა ჰკრეფდა.
შავ-ბნელი მოდგმა,
გენი კაენის,
ბილწავდა გრძნობას
ავი ზრახვებით.
მზე ღრუბლებიდან
სხივებსა შლიდა,
ღრმა სიყვარული
წუთისოფელის.

III

როს შეეჩვია
ბორგვას ცხოვრების,
მამრმა ხოხობმა
სძლია სოფელი
და სიყვარულით
გალაღებული
დაცხრა ვნებანი
ბობოქარ ქალის.
ფერად ყვავილებს
უწნავდა თმაში,
ღვთის ანგელოზი
ტკბებოდა მზერით.
„დაისს“ ცეკვავდა
გუნდი ვარსკვლავთა
და საუბრობდა
კაცი უფალთან.
ღრმა სიყვარულის
ცეცხლზე იწვოდა

თვით ნარ-ეკალი
წუთისოფლისა.
თვალებში ჩადგა
ნათელი სვეტი,
ბედნიერების
ავარდა ალი.
ტკბილ-მწარე არის
წუთისოფელი,
ცისფერი ვარდი
სავსეა ეკლით.

IV

ზეცას სწვდებოდა
ძლიერი გრძნობა,
ციალი უცხო
ჩრდილოეთისა.
როცა სიკვდილის
ზარმა ჩამოჰკრა,
მდედრი ხოხობი

დაეცა გლოვად.
მძაფრი ტკივილით
ძვლები იწვოდა,
სული შფოთავდა
მწუხარებისგან.
შავი სასახლე
გადადიოდა
ხელიდან-ხელში
მამრთა სქესისა
და პროცესია
გზას მოჰყვებოდა,
გარდაცვალების
არსი დაჰქროდა.
ჩასვენების ჟამს
კვნესოდა ზურნა,
იღიმებოდა
მზის თვალი ტურფად,
ნუკრის თვალება

ბავშვი ცეკვავდა
მუსიკის ხმაზე
მამის საფლავთან.

სარჩევი

წინასიტყვაობა ----------3
მე შენ მიყვარდი ----------7
აფეთქებული აპრილი ----------8
გვირილების ცრემლი ----------9
ბალზაკის ასაკი ----------10
*** (ცხოვრების ეტლი) ----------12
*** (რომის ქუჩები) ----------13
სიკვდილი მამის ----------14
კლეოპატრა ----------15
კაცის უჯრედი ----------16
ღვთისმშობელი ძაძებში ----------18
შავში თეთრი ----------19
ვერ დავნებდები ----------20
*** (ვერის ბაღები) ----------21
ღვთიური ცვარი ----------22
ვნება ----------23
*** (ლეშს დაეძებდა) ----------24
გაზაფხული ----------25
ქარიშხალი ----------26
ადამის მოდგმა ----------29
ნოსტალგია ----------30
რიტმული მუზა ----------33
კრავის ღიმილი ----------34

სიკეთის დედა ----------36

სიყვარულის ელეგიები

თეთრი ვარდი ----------39
მეწამული პიონი ----------45
თეთრი ულაყი ----------52
მამრი ხოხობი ----------59

დაიბეჭდა შპს „პოლიგრაფისტი“

მისამართი სურამის ქუჩა №13
ტელ.: 56 40 43; 95 00 97